

შპს ექსტრამიტის
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- 1) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:
 - 1.1 ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება -3-
 - 1.2 ინდივიდუალური მოგება ზარალის ანგარიშგება -4-
 - 1.3 კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება -5-
 - 1.4 ფულადი სახსრების მოძრაობა -5-
- 2) ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -6-

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საწარმოს დასახელება: შპს "ექსტრამიტი"
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს
მისამართი: ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის #124
საქმიანობის დარგი: ხორცპროდუქტების წარმოება-დისტრიბუცია
ზომის ერთეული: ლარი

	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3 796 684	3 535 189
არამატერიალური აქტივები	45 236	43 169
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 841 920	3 578 358
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	802 809	747 572
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	946 459	810 314
გაცემული სესხები	723 564	808 689
მისაღები პროცენტები გაცემული სესხიდან	61 479	226 585
გადახდილი ავანსები		
საგადასახადო მოთხოვნები	36 144	132
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	414 327	436
სულ მიმდინარე აქტივები	2 984 782	2 725 596
სულ აქტივები:	6 829 702	6 303 954
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
საწესდებო კაპიტალი		
სარეზერვო კაპიტალი		
აკუმულირებული მოგება-ზარალი	(958 609)	(1 574 877)
მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	834 489	616 268
სულ კაპიტალი და რეზერვები	(124 121)	(958 609)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	4 771 905	5 227 518
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	4 771 905	5 227 518
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 984 651	1 894 521
საგადასახადო ვალდებულებები		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	194 266	140 524
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2 178 918	2 035 045
სულ საკუთარი ვალდებულებები და კაპიტალი	6 826 702	6 303 954

შპს ექსტრამითის ინდივიდუალური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	2022	2021
საოპერაციო შემოსავლები: (დღგ-ს გარეშე)	<u>15 692 111</u>	<u>13 214 285</u>
მათ შორის:		
ოჯარა	1017	1017
შემოსავალი რეალიზაციიდან	15 691 094	13 213 268
არასაოპერაციო შემოსავლები(დღგ -ს გარეშე)	<u>1 717 887</u>	<u>1 380 278</u>
მათ შორის:		
დაზღვევის ანაზღაურება	9 706	10 801
მოგება ძირ.საშ.რეალიზაციიდან	20 461	24 431
მისაღები პროცენტები		21 801
სხვა შემოსავალი	61 169	102 441
დადებითი საკუროს სხვაობა	1 626 551	1 220 804
სულ შემოსავლები	<u>17 409 998</u>	<u>14 594 563</u>
საოპერაციო ხარჯები: (დღგ-ს გარეშე)	<u>15 632 110</u>	<u>13 222 378</u>
მათ შორის:		
რეალიზებული პროდუქციის თითოღირებულება	10 887 765	10 161 579
შრომის ანაზღაურება	360 626	314 750
ოჯარა	218 617	117 511
საკონსულტაციო	192	7000
სხვა საგადასახადო ხარჯი	35 954	30 367
ცვეთა და ამორტიზაცია	21 507	19 186
საპატრულოს ჯარიმები	3 794	3 161
კომუნიკაციის ხარჯი	20 312	14 322
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები(რეესტრის, მომსახურების სააგენტოს, მიმდინარე რემონტების ნაწილი და ასე შემდეგ)	144 575	116 087
დაზღვევის ხარჯი	42 189	35 663
დანადგარების მიმდინარე რემონტი	118 708	87 989
კომპიუტერის ხარჯი	11 665	3 276
დაცვის ხარჯი	3 910	2 644
ავტომანქანების მიმდინარე რემონტი	203 519	157 350
ჯიპიარეს მომსახურება	10 767	12 600
მაცივრების მიმდინარე რემონტი	68 851	94 442
საკანცელარიო ხარჯები	7 753	5 988
საოფისე ხარჯები	2 232	10 935
უნიფორმების ჩამოწერა	25 075	20 150
გაყიდვების და მიწოდების სხვა ხარჯები	266 153	211 939
რეკლამის და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	829 871	240 036
საწყობის უფროსების, მეჩენდაიზერების და კონსულტანტების ხელფასი	998 517	449 614
სადისტრიბუციო მანქანების და ქსელში განთავსებული მაცივრების ცვეთა	277 791	236 657
ლაბორატორული სადუხინფექციო მომსახურება	15 210	8 180
დისტრიბუციის ხელფასი	507 689	436 483
შტრიხკოდების	680	680
საწვავის ხარჯი	497 994	345 665
დასუფთავების ხარჯი	14 802	11 175
ჩამოწერილი საქონელი	185	31 940
სხვა ხარჯები	2 233	915
ბანკის საკომისიო	32 974	34 092
არასაოპერაციო ხარჯები: (დღგ-ს გარეშე)	<u>943 399</u>	<u>755 918</u>
მათ შორის:		
უარყოფითი საკუროს სხვაობა+კონვერტაციის სხვაობა	595 857	417 022
ძირ.საშ. რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯი	29 660	37 455
უსასყიდლოდ მიწოდებასთან დაკავშირებული და სხვა	18 681	16 672
საპროცენტო ხარჯები	299 201	284 769
სულ ხარჯები	<u>16 575 509</u>	<u>13 978 296</u>
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	<u>834 489</u>	<u>616 268</u>

შპს ექსტრამიტის კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მფლობელთა კაპიტალი	დაგროვებული მოგება/ზარალი	სულ
31.12.2021.	-958 609	-124 121
01.01.2021-31.12.2022		
შენატანები კაპიტალში		
პერიოდის შემოსავალი/ზარალი	834 489	
31.12.2023.	-124 121	-124 121

ფულადი სახსრების მოძრაობა
2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

	საანგარიშო პერიოდი 2022	საანგარიშო პერიოდი 2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	444 621	-424 285
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-220 107	-1 090 813
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	24 920	1 609 834
<u>წმინდა ზრდა(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</u>	249 434	94 737
სავალუტო კურსის ეფექტი	32 457	-63 981
<u>ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში</u>	132 436	101 680
<u>ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს</u>	414 327	132 436

შპს „ექსტრამიტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

შპს ექსტრამიტი (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი, ხუნდაძის ქ. #40
ფაქტიური მისამართი ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. #124

შპს ექსტრამიტის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხორცპროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

გიორგი ტურაბელიძე - 51%-იანი წილის მფლობელი

გიგა ჩხოზაძე - 49%-იანი წილის მფლობელი

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საგადასახადო კანონმდებლობა. „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2 ძირითადი საშუალებები

3.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.2.2 ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

- შენობა-ნაგებობები 10 წლამდე;
- ელექტრონული მოწყობილობა 5-10 წლამდე;
- კომპიუტერები 5 წლამდე;
- მანქანები და მოწყობილობები 5-10 წლამდე;
- სხვა 5-10 წლამდე;
- ავეჯი ოფისისათვის 5 წლამდე;
- კავშირგაბმულობის მოწყობილობა 5 წლამდე;
- ავტომობილები 5-10 წლამდე.

3.2.3 აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

**ძირითადი
საშუალოები**

	სატრანსპორტო საშუალებები	კავშირგაბმულობის მოწყობილობა	ავეჯი ოფისისათვის	სხვა მოწყობილობა	დაზღა-დანადგარები	კომპიუტერები	ელექტრონული მოწყობილობა	შენობები	მიწა
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	896 518	26 225	45 035	306 394	2 237 441	55 430	153 282	1 334 384	90 742
2021წლისათვის აკუმულირებული ცვეთა	267 495	8 571	13 915	113 221	882 211	15 903	29 329	379 617	0
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	629 023	17 654	31 120	193 173	1 455 230	39 527	123 953	954 768	90 742
შესყიდვები 2022 წლის განმავლობაში	55 514	3 202	7 903	183 125	155 266	5 963	134 658	275 694	0
2022 წელს რეალიზებული აქტივი	51 601	0	0	0	0	0	0	0	0
2022 წელს ჩამოწერილი აქტივი	0	4 072	0	2 226	3 307	0	226	0	0
2022 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებული ცვეთა	337 303	10 412	19 251	149 587	1 061 000	21 941	56 399	552 763	0
31 დეკემბერი 2022 წმინდა საბალანსო ღირებულება	563 127	14 943	33 686	337 706	1 428 399	39 452	231 314	1 057 316	90 742

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

არამატერიალური აქტივები

ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	<u>61 442</u>
2021 წლისათვის აკუმულირებული ცვეთა	<u>18 272</u>
31 დეკემბერი 2021 წმინდა საბალანსო ღირებულება	<u>43 170</u>
შესყიდვები 2022 წლის განმავლობაში	<u>8 713</u>
2022 წელს რეალიზებული აქტივი	<u>0,00</u>
2022 წელს ჩამოწერილი აქტივი	<u>0,00</u>
31 დეკემბერი 2022 აკუმულირებული ცვეთა	<u>24 919</u>
31 დეკემბერი 2022 წმინდა საბალანსო ღირებულება	<u>45 236</u>

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია

ერიცხება წრფივი მეთოდით არაუმეტეს 10 წლისა. ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ასეთი არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, ხდება მისი ღირებულების შეფასება და გაუფასურების გამოვლენის შემთხვევაში აღირიცხება როგორც გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა MIDL ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

	31.12.2022	31.12.2021
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	<u>802 809</u>	<u>747 572</u>

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

3.5.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

„კომპანია“ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს გრძელვადიანი სესხის სახით არსებულ ფინანსურ აქტივს.

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>946 459</u>	<u>810 314</u>
გაცემული სესხები	<u>723 564</u>	<u>808 689</u>
მისაღები პროცენტები გაცემული სესხიდან	<u>0</u>	<u>0</u>
საგადასახადო მოთხოვნები	<u>36 144</u>	<u>0</u>
გადახდილი ავანსები	<u>61 479</u>	<u>226 585</u>

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იჭურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

3.5.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები.

„კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

სესხები და კრედიტები

მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (IRR) გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხები	<u>4 771 905</u>	<u>5 227 518</u>
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>1 984 159</u>	<u>1 894 521</u>
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>194 266</u>	<u>140 524</u>

სავაჭრო ვალდებულებები კონტროლდება მხარეების მიერ და შეთანხმებულ პირობებთან სრულ შესაბამისობაშია, რაც დასტურდება რეკონსილაციის აქტებით.

მიღებული ავანსები მოიცავს კომპანიის ოპერაციულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებულ მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებს, რაც სრულ შესაბამისობაშია შეთანხმებულ პირობებთან.

სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში შედის კომპანიის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურებები და ვალდებულებები.

3.5.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთ ჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო ვალდებულებების მუხლში.

3.7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს, როგორც სალაროში არსებული ნაღდი ფულის, ისე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული სალაროში	<u>337 301</u>	<u>109 179</u>
ფული საბანკო ანგარიშებზე	<u>77 026</u>	<u>23 257</u>

3.8 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია დაანაზღაურების მიღების ალბათობამაღალია.

სახელმწიფო ტენდერები

სახელმწიფო ტენდერების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ონლაინ ტენდერებში გამარჯვების შედეგად საქონლის მიწოდება კონტრაგენტისათვის.

3.9 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია. ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.10 თანამშრომელთა ხელფასები და ხელფასთან გათანაბრებული განაცემები

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით (არასავაჭრო განყოფილებების თანამშრომლებისათვის) და შერეული, ფიქსირებულს + საპროცენტო ნაწილი განაკვეთით. ფიქსირებული განაკვეთი დამოკიდებულია შრომით ბაზარზე არსებული კვალიფიკაციის შესაბამისი ანაზღაურებასა და კომპანიაში სამუშაო სტაჟზე. საპროცენტო ნაწილი ფორმირდება მომწოდებლების მიერ დასმული ამოცანებისა და კომპანიის პორტფელში არსებული საქონლის ანალოგების კონკურენტულ ბაზარზე არსებული ვითარებით.